

თვითრეგულირების ორგანოები რეგიონულ მაუწყებლებში

ავტორი: თამარ კარელიძე

კვლევის ობიექტები - რეგიონული მაუწყებლები: „25-ე არხი“, „მეცხრე ტალღა“, „ოდიში“, „გურია“, „რიონი“, „იმერვიზია“, „დია“, „ქვემო ქართლის ტელევიზია“, „თრიალეთი“, „ბორჯომი“, „იმპერია“, „მარნეულის ტელევიზია“, „გურჯაანი“, „თანამგზავრი“.

კვლევის მიზანი - შევისწავლოთ, მუშაობს თუ არა „მაუწყებელთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული თვითრეგულირების სისტემები რეგიონულ ტელევიზიებში და უზრუნველყოფს თუ არა კანონი მათ ეფექტურ მუშაობას.

კანონმდებლობის მიმოხილვა - მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეიმუშავა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“. ამავე კანონის მე-14-ე მუხლით, მაუწყებლებზე მომხმარებელთა საჩივრების ეფექტური განხილვის მექანიზმთა შექმნის ვალდებულება ვრცელდება. ამასთან, „მაუწყებელთა შესახებ“ კანონის 52-ე მუხლი, მაუწყებლებს ჯეროვან სიზუსტეს, შესწორებასა და უარყოფას ავალდებულებს. აღნიშნული გაწერილია ქცევის კოდექსშიც.

რეგულაციების მიმოხილვა - მაუწყებელთა ქცევის კოდექსი 2009 წელს იქნა მიღებული. მის მეორე თავში გაწერილია ის რეგულაციები, რომლებითაც თვითრეგულირების ორგანოები უნდა მოქმედებდეს. აღსანიშნავია, რომ კოდექსით გათვალისწინებული თვითრეგულირების მექანიზმების შექმნა, საზოგადოებრივ მაუწყებელსა და კერძო საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე ტელევიზიებს (ეროვნულ მაუწყებლებს), ექვსი თვის ვადაში დაევალებათ. რეგიონულ მაუწყებლებს კი ვალდებულების შესრულების ერთწლიანი ვადა მიეცათ.

თვითრეგულირებისა და ანგარიშვალდებულების თავის მიხედვით, დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, ეთერში გასულ მასალაზე პრეტენზიის ქონის შემთხვევაში, 10 დღის მანძილზე მაუწყებელს მოსთხოვოს მცდარი ფაქტის შესაბამისი ფორმითა და შინაარსით შესწორება ან უარყოფა. განაცხადში აღნიშნული უნდა იყოს მასალის ეთერში გაშვების თარიღი, პროგრამის დასახელება და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის ის მუხლები, რომელთა დარღვევაშიც მაუწყებელს მომჩივანი ედავება.

მაუწყებელში შესული საჩივრების განხილვის ვალდებულება თვითრეგულირების მექანიზმს აქვს (მისი შექმნის ვალდებულება ტელევიზიებს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ ავალდებულებს), რომელმაც საჩივრებზე გამჭვირვალე, დროული და დასაბუთებული გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს.

ნიშანდობლივია ფაქტი, რომ მაუწყებელთა თვითრეგულირების ორგანოსათვის მიმართვა მხოლოდ „დაინტერესებულ პირებს“ შეუძლიათ. კანონმდებლობა კი ამ დეფინიციის მიხედვით იმ სუბიექტს ან სუბიექტთა ჯგუფს მოაზრებს, რომლებსაც ეთერში გასული მასალა პირდაპირ ან ირიბად შეეხო. აღსანიშნავია ისიც, რომ თვითრეგულირების ორგანოში

მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ამავე მაუწყებელში შექმნილ სააპელაციო ორგანოში. საბოლოო გადაწყვეტილება არ საჩივრდება კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა თუ სასამართლოში.

კანონმდებლობით გაწერილი პროცედურის თანახმად, შემოსული საჩივრის განხილვის ვალდებულება მაუწყებლებს 21 დღის ვადაში აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვალდებულები არიან დაასაბუთონ გადაწყვეტილება განხილვის ვადის გაზრდის თაობაზე და ყველა დაინტერესებულ პირსაც აცნობონ. თვითრეგულირების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება მომჩივანს, ამავე მაუწყებლის მიერ შექმნილ სააპელაციო ორგანოში შვიდი დღის მანძილზე შეუძლია.

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებსაც, თუ ვინ შეიძლება იყოს თვითრეგულირებისა და სააპელაციო ორგანოს წევრი. არ შეიძლება საბჭოში შევიდეს საჯარო მოხელე ან პოლიტიკური პარტიის წევრი. თვითრეგულირების ორგანო დაკომპლექტებული უნდა იყოს მიუკერძოებელი და კომპეტენტური ადამიანებით. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, საჩივრის განხილვის დროს, დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, კომისიის ამა თუ იმ წევრს აცილება მისცეს. წევრის აცილების შემთხვევაში, გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით მიიღება. ხმათა გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. გადაწყვეტილება 30 დღის განმავლობაში უნდა იქნეს მიღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭოს დასაბუთების ვალდებულება აქვთ.

საჩივრების განხილვის შემთხვევაში თვითრეგულირებისა და სააპელაციო ორგანოების კომისიებმა უნდა უზრუნველჰყონ ყველა დაინტერესებული პირის დასწრება. საჩივრებთან დაკავშირებით, მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული.

თვითრეგულირებასთან ერთად, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ ანგარიშვალდებულების ნაწილსაც მოიცავს. მაუწყებლები ვალდებულები არიან, წელიწადში ერთხელ ჩაატარონ თვითრეგულირების სისტემის აუდიტი და ეროვნულ კომისიას ყოველწლიურად წარუდგინონ ის. საანგარიშო პერიოდი 1 მაისით არის განსაზღვრული. ანგარში თავმოყრილია ინფორმაცია თვითრეგულირების მექანიზმში შესული საჩივრების, განცხადებებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

კანონმდებლობა მაუწყებლებს ავალდებულებს, საჩივართა განხილვის პროცესი გამჭვირვალედ წარმართონ, თუმცა ის არ შეიცავს კონკრეტულ პუნქტებს, რომელიც ვალდებულებას უზრუნველჰყოფს. აქედან გამომდინარე, მაუწყებლები წლის განმავლობაში შესულ საჩივრებს, თვითრეგულირებისა და სააპელაციო ორგანოს წევრთა ვინაობას, მიღებულ გადაწყვეტილებას და ა.შ. მხოლოდ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წარუდგენენ. კანონი მაუწყებლებს არც თვითრეგულირების შესახებ ინფორმაციის საკუთარ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას ავალდებულებს.

მეთოდოლოგია - კვლევისას ვხელმძღვანელობდი კოდექსით განსაზღვრული რეგულაციებით - არის თუ არა გამჭვირვალე გასაჩივრების პროცედურა (მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, მუხლი 7 (იხ. დანართი). გამოვიყენე ორი მეთოდი:

1. მეორადი ანალიზი - მარეგულირებელში რეგიონული მაუწყებლების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციისა და ვებ-გვერდების შესწავლას მოიცავს (არის თუ არა თვითრეგულირების ორგანოს შესახებ ინფორმაცია საიტებზე გამოქვეყნებული);
2. თვისობრივი მეთოდი - დეტალური ინფორმაციის მისაღებად ჩავატარე პირისპირ ინტერვიუები მაუწყებლების ხელმძღვანელ პირებთან.

რეგიონულ მაუწყებლებში თვითრეგულირების ორგანოთა მუშაობის თაობაზე კვლევა არ ჩატარებულა. 2014 წელს გელა ბოჩიკაშვილმა ანალოგიურ თემაზე ნაციონალურ მაუწყებლებში არსებული მდგომარეობა შეისწავლა. ეროვნულ მაუწყებლებში აღმოჩენილი მიგნებები - საჩივრების მცირე რაოდენობა, მაყურებელთა არაინფორმირებულობა და თვითრეგულირების ორგანოს ფორმალური სახე საერთოა რეგიონული მაუწყებლებისთვისაც. ეროვნულისაგან განსხვავებით, არსამთავრობო ორგანიზაციათა მიმართვა რეგიონული მაუწყებლების თვითრეგულირების საბჭოებისადმი მცირეა. ეროვნული მაუწყებლებისაგან განსხვავებით კი, ჟურნალისტებთან დადებული ხელშეკრულებები რეგიონული ტელევიზიების უმეტესობაში, მაუწყებელთა ქცევის კოდექსსა და შინაგანაწესს მოიცავს. ეს უკანასკნელი კოდექსის დაცვასაც გულისხმობს.

რეგიონული მაუწყებლებიდან კვლევისათვის ავიღე ის ტელეკომპანიები, რომლებიც მეტი აქტიურობით გამოირჩევიან - აქვთ საინფორმაციო გამოშვებები და საკუთარი გადაცემები. კვლევის მონაწილე 14 ტელეკომპანიიდან, თითქმის, ყველა დირექტორმა ამომწურავად უპასუხა კითხვებს. თვითრეგულირების ორგანოში შესული საჩივრების ტენდენცია რომ გაგვერკვია, კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია 2012 და 2013 წლების შესახებ.

კვლევის შედეგები:

- **საჩივრების მცირე რაოდენობა** - კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, როგორც აღმოჩნდა, 2012 წლის მანძილზე, რეგიონულ მაუწყებლებში ჯამში სულ 9 საჩივარი იყო შესული (ერთი „25-ე არხში“, ხუთი „იმერვიზიაში“, სამი „იმპერიაში“). განხილული საქმეებიდან უმეტესობა ტექნიკური ხასიათის იყო. მომჩივანის სასარგებლოდ ტელეკომპანია „25-ე არხის“ თვითრეგულირების ორგანოში განხილული საქმე გადაწყდა. დანარჩენ შემთხვევებში დავის მხარის დარწმუნება სარჩელის უსაფუძვლობაში, მისი განხილვის პროცესში მოხერხდა. 2013 წელს კი მხოლოდ „იმპერიაში“ შევიდა 2 საჩივარი, რომელთაგან ერთი საბჭომ დააკმაყოფილა და მოდავე მხარეს გამოეყო საეთერო დრო განმარტებების გასაკეთებლად, მეორე შემთხვევაში კი, საჩივრის განხილვის პროცესში მოხერხდა მოდავე მხარის დარწმუნება სარჩელის უსაფუძვლობაში.

- **ინფორმაციის ნაკლებობა** - არსებობს ინფორმაციის გავრცელების პრობლემა. მაუწყებლები არ ცდილობენ მოსახლეობას შეატყობინონ თვითრეგულირების, მისი მექანიზმებისა და უფლებების შესახებ. კვლევის შედეგად გამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე, დაბალი მიმართვიანობა იმის ბრალიცაა, რომ მოსახლეობა მაუწყებელთა ქცევის კოდექსსაც არ იცნობს. ბათუმის 25-ე არხი ერთადერთია რეგიონულ მაუწყებელთაგან, რომელსაც საიტზე თვითრეგულირების ორგანოს შესახებ აქვს ინფორმაცია, თუმცა ისიც არასრულია და მხოლოდ განხილული საქმით შემოიფარგლება;
- **მაუწყებელთა ქცევის კოდექსი შინაგანაწესში** - მაუწყებლების უმეტესობა ხელშეკრულებაში ჟურნალისტს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დაცვას ავალდებულებს, ხოლო ნაწილი ხელშეკრულებაში მხოლოდ შინაგანაწესს დებს, თავად შინაგანაწესი მოიცავს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დაცვასაც (ეს კომპონენტი გამოკითხული 14 მაუწყებლიდან სამს აქვს („ბორჯომი“, „იმერვიზია“, „მარნეული“);
- **რეკომენდაციები არასამთავრობო სექტორიდან** - მაუწყებლებმა არ იციან, რა მექანიზმით უნდა გახადონ პოპულარული და ქმედითი თვითრეგულირების ორგანო. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ დახმარება ამ საკითხში, კომუნიკაციების კომისიამ და არასამთავრობო სექტორმა უნდა გაუწიოს.
- **ალტერნატიული ხერხი** - რეგიონულ ტელევიზიებში არსებობს მაყურებელთან კონტაქტის ალტერნატიული ხერხი. როგორც კვლევისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, მაყურებელთა უმეტესობა ამჯობინებს სატელეფონო ზარითა და ფეისბუქის საშუალებით იკონტაქტოს ტელევიზიასთან. ინტერაქცია საკმაოდ ინტენსიური და ეფექტურია;
- **ინფორმაციის გავრცელების ინტენსივობის ნაკლებობა დამალვა** - მაუწყებელთა ნაწილი არ აკეთებს თვითრეგულირების საბჭოს პოპულარიზაციას იმიტომ, რომ ნაკლები საჩივარი მაუწყებლის იმიჯისათვის უკეთესია. ამის მეორე მიზეზი ასევე კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის კანონის აღსრულების მექანიზმის არარსებობაა;

ბათუმის 25-ე არხი

კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის წარდგენილი ანგარიშის თანახმად, თვითრეგულირების საბჭო „25-ე არხში“ 2009 წლის 10 სექტემბერს შეიქმნა. წევრები არიან თავად არხის თანამშრომლები - პროდუსერი და ჟურნალისტები, ხოლო სააპელაციოსი - საზოგადოების წევრები.

კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუში, მაია მერკვილაძემ, არხის ახალი ამბების რედაქტორმა აღნიშნა, რომ თვითრეგულირების ორგანოში, 2009 წლიდან დღემდე მხოლოდ ერთი საჩივარია შემოსული. მისივე განმარტებით, არხს თვითრეგულირების ორგანოს პოპულარიზაციისათვის, განსაკუთრებული ზრუნვა არ გამოუჩენია. მერკვილაძეს მიაჩნია, რომ დაინტერესებულ პირს შეუძლია, ორგანოს შესახებ ინფორმაცია საიტზე იხილოს, სადაც მხოლოდ ერთი განხილული საჩივარი დევს. განყოფილებაში არც თვითრეგულირების ორგანოს მუშაობის პრინციპის შესახებ წერია, არც კომისიის წევრები და არც მაუწყებელთა ქცევის კოდექსი დევს.

ამასთან მერკვილაძე ამბობს, რომ 2012 წელს, ზვიად ქორიძის საჩივრის განხილვაც, თვითრეგულირების ერთგვარი პოპულარიზაცია იყო. საქმე ეხებოდა „ობიექტივის“ გადაცემა „ლამის სტუდიის“ 19 მარტის გამოშვებას, რომლის წამყვანი იყო ირმა ინაშვილი, სტუმარი კი - სოსო მანჯავიძე. გადაცემა ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას ეხებოდა და ამავე თემაზე, ბათუმის პრესკაფეში გამართულ დისკუსიაზეც ისაუბრეს. ზვიად ქორიძე საჩივარში აღნიშნავდა, რომ გადაცემის წამყვანმა და სტუმარმა კონტექსტის დარღვევით მოახდინეს მისი მოსაზრებების ციტირება და არასწორად ინტერპრეტირება, რასაც შემდგომ შეურაცხმყოფელი განცხადებები მოჰყვა. ქორიძე მოითხოვდა, რომ 25-ე არხს გაეშვა საკუთარ ეთერში განცხადება უარყოფის შესახებ. ქორიძე ასევე მიიჩნევდა, რომ „ობიექტივის“ ეთერით დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-17 მუხლი. თვითრეგულირების საბჭომ მიიჩნია, რომ დარღვევას მართლაც ჰქონდა ადგილი და ქორიძის საჩივარი დაკმაყოფილდა.

მერკვილაძე ამბობს, რომ მაყურებელი პრეტენზიით ტელევიზიაში ხშირად რეკავს, სადაც თვითრეგულირების საბჭოსათვის მიმართვას ურჩევენ, თუმცა მომჩივანი მხარე „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში“ წასვლას ამჯობინებს.

„როგორც ვიცი, ეთიკის ქარტიაშიც გვიჩივლეს ახლახან. ადვოკატმა დაგვირეკა ერთ-ერთი კომპანიიდან, რომელსაც ჰქონდა განცდა, რომ მისი დისკრედიტაცია მოვახდინეთ. სიუჟეტი გაზგასამართ სადურს ეხებოდა, რომელიც ყოველგვარი ნებართვის გარეშე ეწეოდა საქმიანობას. კომპანიამ ვერ წარმოადგინა ნებართვა და უსაფრთხოების ნორმებიც თვალშისაცემი იყო. ამიტომ გადავწყვიტეთ, ეს ხარვეზი გვეჩვენებინა და კომპანია გაგვინაწყენდა. დაახლოებით, ერთ თვეში, ამ გასამართ სადგურზე აფეთქება მოხდა. ჩვენ ეს თემაც გავშუქეთ, რის შემდეგაც კომპანიიდან წერილი მოგვივიდა, სადაც ბოდიშის მოხდას ითხოვდნენ. შევთავაზე, შეგიძლიათ, თვითრეგულირებაში შემოიტანოთ სარჩელი, თუმცა მითხრა, რომ მანდ არა - ეთიკის ქარტიას მივმართავო.“

მაია მერკვილაძის თქმით, ყოფილა შემთხვევები, როდესაც მაყურებელთა პრეტენზიები თვითრეგულირების საბჭოს გვერდის ავლით დაკმაყოფილებულა. არაზუსტი ინფორმაციის გავრცელების გამო, მეორე დღეს გასწორებული სიუჟეტი რამდენჯერმე გაუშვიათ.

„25-ე არხში“ არ გამორიცხავენ, რომ თვითრეგულირების საბჭოს დაბალი პოპულარობის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ გარე ორგანო არაა და თავად ტელევიზიაში ფუნქციონირებს.

მეორე მიზეზად მერკვილაძე „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას“ ასახელებს და ამბობს, რომ ქარტიამ თვითრეგულირებას მოსარჩევეები წაართვა, რაც შეეხება მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დარღვევას, მერკვილაძე ამბობს, რომ პრეტენზიათა უმეტესობა არასწორი ინფორმაციის გავრცელებით არის გამოწვეული.

ბათუმის 25-ე არხი ერთადერთია საკვლევ მედიასაშუალებებს შორის, რომელსაც საიტზე თვითრეგულირების ორგანოს შესახებ ინფორმაცია აქვს განთავსებული, თუმცა განყოფილებაში მხოლოდ ზემოთ ნახსენები საჩივარი დევს (ზვიად ქორიძე მედიაკავშირ „ობიექტივის“ წინააღმდეგ). კითხვაზე, იგეგმება თუ არა თვითრეგულირების ორგანოს პოპულარიზაცია, მია მერკვილაძის თქმით, გარდა საბჭოს წევრთა ვინაობის საიტზე დადებისა, რთულია ფორმის წარმოდგენა, თუ როგორ შეიძლება ამ ორგანიზმს პოპულარიზაცია გაეწიოს.

„მეცხრე ტალღა“

ფოთის „მეცხრე ტალღაში“ თვითრეგულირების ორგანო 2009 წლის 1 სექტემბერს შეიქმნა. მისი წევრები არხის პროდუსერი და ჟურნალისტები არიან, სააპელაციო საბჭოს კი ფოთში მოქმედი სხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლები და საზოგადოების წევრები აკომპლექტებენ. „მეცხრე ტალღაში“ თვითრეგულირების ორგანოს შესახებ ინფორმაციას საიტიდან ვერ მივიღებთ, თუმცა როგორც არხის დირექტორმა, გერმანე სალიამ ინტერვიუსას განაცხადა, თვითრეგულირების ორგანოს შესახებ ინფორმაცია საიტის წინა ვერსიაზე იდო, ახალი ვებ-გვერდი კი მზადების პროცესშია და მასზე ინფორმაცია აუცილებლად განთავსდება.

გერმანე სალიას თქმით, მოსახლეობას თვითრეგულირების ორგანოს შესახებ ინფორმაცია 2009 წელს, შექმნისთანავე მიეწოდა. ამასთან, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, ყოველწლიურ ანგარიშში ეთითება, რომ არხზე საჩივრები არ შემოსულა. სალიას განმარტებით, ტელევიზიაში არც მოსახლეობის უკმაყოფილო ზარები შემოდის. ინტერაქციის ერთ-ერთი ფორმა, ზარებთან ერთად, ფეისბუქის გვერდზე პრეტენზიების გამოხატვაა, თუმცა ესეც იშვიათად ხდება.

„მეცხრე ტალღის“ დირექტორი ამბობს, რომ თანამშრომელთა სამსახურში აყვანისას ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დაცვა ხდება. რაც შეეხება თვითრეგულირების ორგანოს, მიაჩნია, რომ მის პოპულარიზაციასა თუ ამოქმედებაში, დახმარებაა საჭირო.

„ოდიში“

თვითრეგულირების საბჭო ტელეკომპანია „ოდიში“ 2010 წლის 7 ივლისს შეიქმნა. საბჭოს წევრები ტელეკომპანიის თანამშრომლები არიან. სააპელაციო კომისიაში კი - არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

როგორც ინტერვიუს დროს, ტელეკომპანია „ოდიშის“ გენერალურმა დირექტორმა, გოჩა მინჯორაიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, თვითრეგულირების ორგანოს შექმნის შესახებ ინფორმაცია 2010 წელს, საიტზე დაიდო, თუმცა მომართვა დღემდე არ ყოფილა. მინჯორაიას თქმით, მაყურებელთა პრეტენზიები ხშირად უმნიშვნელო გრამატიკულ შეცდომებს ეხება, რომელთა გასწორების საკითხიც ადგილზე წყდება. „ოდიში“ ინფორმაციული უზუსტობისა თუ სხვა რაიმე გადაცდომის გამო, არც სიუჟეტი შეუსწორებიათ. მინჯორაია ამბობს, რომ არის შემთხვევები, როდესაც ეროვნულ მაუწყებლებთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე, მოსახლეობა „ოდიშს“ მიმართავს.

თანამშრომელთა სამსახურში აყვანისას ხელშეკრულებაში არ იდება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დაცვა, თუმცა გოჩა მინჯორაია აღნიშნავს, რომ საგრანტო პროექტებისას გაფორმებულ ხელშეკრულებაში კოდექსი ჩადებულია.

„გურია“

ტელეკომპანია „გურიაში“ თვითრეგულირების ორგანო 2009 წლის 8 აგვისტოს შეიქმნა. მისი წევრები ჟურნალისტები და ადგილობრივი საზოგადოებისათვის ცნობილი პირები არიან. თვითრეგულირების ორგანოს შესახებ ინფორმაცია ტელეკომპანიის საიტზე განთავსებული არ არის. როგორც ჩვენთან საუბარში არხის დირექტორი, ავთო გველებიანი ამბობს, საბჭოს შესახებ ინფორმაცია მოსახლეობას, მისი შექმნისთანავე საიტის საშუალებით მიეწოდა.

გველებიანის განმარტებით, ტელეეთერში მუდმივად გადის მორბენალი სტრიქონი, სადაც არხის სატელოფონო ნომერია მითითებული და მოსახლეობასაც მუდმივად შეუძლია კონტაქტი. ნებისმიერ პრეტენზიასა თუ თხოვნაზეც ტელევიზიას ასე უკავშირდებიან.

ექვსწლიანი არსებობის მანძილზე საჩივარი არც ტელეკომპანია „გურიის“ თვითრეგულირების ორგანოს განუხილავს. ავთო გველებიანის თქმით, მოსახლეობისათვის ისედაც ცნობილია თვითრეგულირების საბჭოს შესახებ და პრეტენზიის შემთხვევაში საჩივარსაც შემოიტანდნენ.

„რიონი“

ტელეკომპანია „რიონში“ თვითმმართველობის ორგანო 2009 წლის 1 მაისს შეიქმნა. საბჭოს წევრები ტელეკომპანიის ჟურნალისტები არიან, სააპელაციო ორგანოში კი იურისტი, არხის დირექტორი და ტექნიკური დირექტორი შედის. თამარ ღვინიაშიძემ ინტერვიუში აღნიშნა, რომ საბჭოებს საჩივრები არ განუხილავთ. მისივე თქმით, თვითრეგულირების ორგანოს ამოქმედების შესახებ „რიონმა“ მორბენალი სტრიქონით, რამდენიმე დღის მანძილზე

ატრიალა ინფორმაცია. ამ ეტაპისათვის კი ტელეკომპანიაში მუშაობს ცხელი ხაზი, სადაც პრეტენზიის მქონე ნებისმიერ პირს შეუძლია დარეკვა.

„რიონის“ ხელმძღვანელი ინტერვიუსას ამბობს, რომ არხი შესაძლებლობის ფარგლებში ფარავს ყველა თემას. თუ საინფორმაციოში არა - კვირის შემაჯამებელ „შვიდ დღეში“. მაყურებელთა ზარების უმეტესობა რიგი საკითხების სიღრმისეულად წარმოჩენას ეხება. საიტი სატესტო რეჟიმშია და ინფორმაციათა ნაწილი წაშლილია. ღვინიანიძე ამბობს, რომ წინა საიტზე თვითრეგულირების შესახებ ინფორმაცია განთავსებული იყო. რაც შეეხება მაუწყებელთა ქცევის კოდექსს, მისი დაცვა ტელეკომპანია „რიონის“ თანამშრომლებს ხელშეკრულებით ევალებათ.

თამარ ღვინიანიძე მიიჩნევს, რომ ტელევიზიაში თვითრეგულირების ორგანოს არსებობის შესახებ ინფორმაცია ყველასათვის ცნობილია, საჩივრით მიმართვის შემთხვევაში განხილვა აუცილებლად გასაჯაროვდება და სიუჟეტიც მიეძღვნება. „გამოდის, რომ ჩემი ჟურნალისტები არ არღვევენ ქცევის კოდექსსა თუ კანონს. ასე რომ ყოფილიყო, ხომ ვინმე იჩივლებდა?“ - აცხადებს ღვინიანიძე.

„იმერვიზია“

ჭიათურის ტელეკომპანია „იმერვიზიაში“ თვითრეგულირების საბჭო 2009 წლის 24 აგვისტოს შეიქმნა. მისი წევრები ტელეკომპანიის თანამშრომლები არიან. კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან მიღებულ ინფორმაცია არ შეიცავს მონაცემს „იმერვიზიის“ სააპელაციო საბჭოს შესახებ, თუმცა არხის დირექტორმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭო თვითრეგულირების ორგანოსთან ერთად შეიქმნა.

„იმერვიზიის“ თვითრეგულირების საბჭოში არსებობის მანძილზე ხუთი საჩივარი შევიდა. აქედან დავების საბჭომ წარმოებაში სამი მათგანი მიიღო. საკითხი, ძირითადად, ბალანსის დარღვევას შეეხებოდა, რესპონდენტთა ნაწილს ჰქონდა უკმარისობის შეგრძნება, რომ მათი კომენტარი სათანადოდ ვერ მოხვდა სიუჟეტში. დავების საბჭოს გადაწყვეტილებით სამივე შემთხვევაში მომჩივან მხარეს მიეცა საშუალება, საკუთარი პოზიცია ტელევიზიის ეთერში გაეჟღერებინა.

რამაზ გამეზარდაშვილის თქმით, ერთ-ერთ ბოლო სიუჟეტში ჟურნალისტს წყაროს კომპეტენციას ედავებოდნენ. მოსარჩელე თვითრეგულირების საბჭოს გადაწყვეტილებამ დააკმაყოფილა. გამეზარდაშვილის ამბობს, რომ ამ საკითხის საბჭოზე გატანის აუცილებლობა არც ყოფილა, თუმცა მაინც იქნა განხილული. მისი თქმით, სხვა დანარჩენი სარჩელების უმეტესობაც, ინფორმაციის უზუსტობისა და ბალანსის პრობლემებს შეეხებოდა. რაც შეეხება სააპელაციო ორგანოს, პირველი ინსტანციისაგან განსხვავებით, მას არც ერთი საქმე განუხილავს.

თვითრეგულირების შესახებ ინფორმაცია არხის საიტზე არც „იმერვიზიას“ აქვს განთავსებული. რამაზ გამეზარდაშვილი ამბობს, რომ თემა კომპანიისათვის აქტუალური არ არის და ტელევიზიისათვის უკეთესია, ნაკლები პრეტენზია შემოვიდეს. ამასთან, არც კომუნიკაციების კომისიისა თუ არასამთავრობო სექტორისაგან ყოფილა მითითება, აღნიშნული ინფორმაცია საიტზე გამოეტანა, რადგან საბჭოს ფუნქციონირების, მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხილული საბჭოების შესახებ ინფორმაცია, წლიურ ანგარიშში კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ეგზავნება. გამეზარდაშვილი ამბობს, რომ აუცილებელია, თვითრეგულირების სისტემების პოპულარიზაციაში ტელევიზიებს სხვადასხვა კოალიციები (მაგ: „მედია ადვოკატირებისათვის“, „გარბი“) დაეხმაროს.

ტელეკომპანია „იმერვიზიაში“ ამბობენ, რომ თვითრეგულირების საბჭომ არხს დამატებითი პრობლემები მოუხსნა. პრეტენზიის მქონე მაყურებელს ისინი ავტომატურად ამისამართებენ თვითრეგულირების ორგანოში, სადაც, მომჩივანთა უმეტესობა განცხადებას არ წერს. რამაზ გამეზარდაშვილი იხსენებს რამდენიმე შემთხვევას, რომლის შემდეგაც სიუჟეტი ეთერში თავიდან გავიდა, შესწორება კი თვითრეგულირების ორგანოს გვერდის ავლით მოხდა. მისივე თქმით, არხი მოსახლეობას არ აწვდის პერმანენტულად ინფორმაციას თვითრეგულირების ორგანოს შესახებ და ვარაუდობს, რომ ამ შემთხვევაში, არხისადმი შემოსული საჩივრები საკმაოდ ბევრი იქნებოდა.

რამაზ გამეზარდაშვილი ამბობს, რომ ჟურნალისტთა ხელშეკრულებაში ქცევის კოდექსიც არის ჩართული და შინაგანაწესიც, რომელშიც ქცევის კოდექსის დაცვაც შედის.

„ბორჯომი“

ტელეკომპანია „ბორჯომში“ თვითრეგულირების ორგანო 2010 წელს შეიქმნა. მისი წევრები, როგორც წინა შემთხვევაში, არხის წარმომადგენლები არიან, სააპელაციო კი - საზოგადოების წევრებითაა დაკომპლექტებული. ორგანოს შექმნისას თემას მიეძღვნა სიუჟეტი და ეთერშიც გავიდა, მიუხედავად ამისა, თვითრეგულირების საბჭოს არც ერთი საჩივარი განუხილავს.

ინტერვიუში არხის დირექტორი, მარინა კუპატაძე ამბობს, რომ უკმაყოფილო მაყურებლები, ძირითადად, სატელეფონო ზარებით შემოიფარგლებიან, თუმცა ასეთი შემთხვევებიც მწირია. მისი თქმით, არხის ჟურნალისტები მაქსიმალურად ცდილობენ, ბალანსის დაცვას. რაც შეეხება ხელშეკრულებებს, მასში ჟურნალისტებისათვის შინაგანაწესის დაცვაა აუცილებელი, რომელშიც მაუწყებელთა ქცევის კოდექსიც შედის.

ახალციხის „მეცხრე არხი“

კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად ირკვევა, რომ თვითრეგულირების ორგანო ახალციხის ტელეკომპანია „მეცხრე არხში“ 2010 წლის 22 მარტს შეიმქნა. კომისიის წევრები არხისა და საზოგადოების წარმომადგენლები არიან. გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის თანახმად, თვითრეგულირების ორგანომ ახალციხეში 2013 წელს ორი საჩივარი განიხილა.

ერთი მათგანი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მეუღლეს, ნინო ბაღდოშვილს შეეხებოდა. ის „სალომე ზურაბიშვილი - საქართველოს გზის“ წარმომადგენელი იყო და სურდა, ბოლომდე დარჩენილიყო საარჩევნო უბანზე, რასაც კანონი კრძალავს. თემაზე მომზადებული სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ, თვითრეგულირების საბჭოში შევიდა განცხადება, სადაც მომზადებული მასალის გმირი ამბობდა, რომ ტექსტში არ იყო საჭიროება, მოეხსენიებინათ, თუ ვინ იყო ის. მომჩივანს ასევე მიაჩნდა, რომ ჟურნალისტმა ტერმინოლოგიაში დაუშვა შეცდომა (კერძოდ, აღნიშნა, რომ ბაღდოშვილი იყო ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ცოლი და არა მეუღლე). საკითხის განხილვის პროცესში, სარჩელის უსაფუძვლობაში მოხდა მოდავე მხარის დარწმუნება, თუმცა „მეცხრე არხის“ ეთერში გამოიყო დრო, განმარტებების გასაკეთებლად (17.07.2015).

მეორე საჩივარი „მეცხრე არხის“ თვითრეგულირების ორგანოში, ახალციხეში, სასმელი წყლის მდგომარეობის თაობაზე მომზადებულ სიუჟეტზე შევიდა. მოდავე მხარე მიიჩნევდა, რომ ქუჩის გამოკითხვაში ჟურნალისტმა გამიზნულად ჩასვა უკმაყოფილო რესპონდენტები. განხილვაზე ჟურნალისტმა განაცხადა, რომ რესპონდენტები მიზნორივად არ შეურჩევია და გამოკითხვა სტანდარტულად მომზადდა. სსაბჭომ მიიჩნია, რომ სიუჟეტზე მუშაობის დროს არ მომხდარა დარღვევა (22.12.2014).

არხის დირექტორი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ორგანო აქტიური არ არის, არც საბჭოს არსებობის შესახებ აქვს ინფორმაცია ბევრს. აქვე აღნიშნავს, რომ უფრო პრიორიტეტული გამოწვევებიდან გამომდინარე (მაგ: ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა), არამხოლოდ თვითრეგულირების, არამედ, სხვა ბევრი საკითხიც გვერდზე რჩება. მაია იველაშვილის თქმით, საჩივართა უმეტესობა კრიმინალურ შემთხვევებს უკავშირდება. ერთ-ერთი მათგანი დაუზუსტებელი ინფორმაციის გაჟღერებას ეხებოდა. ჟურნალისტმა სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ სიუჟეტი გადაწყვეტილების მიღებამდე ცოტა ხნით ადრე მოამზადა. მეორე შემთხვევა კი ოჯახში ძალადობის თემას უკავშირდებოდა, სადაც ქმარმა მოძალადე ცოლს უჩივლა. არხის დირექტორი ამბობს, რომ სიუჟეტში სახეები მაქსიმალურად იყო დაფარული, თუმცა ოჯახის, მათ შორის, მცირეწლოვანი ბავშვის იდენტიფიცირება მაინც მოხდა.

არხის დირექტორს არ ახსენდება შემთხვევა, როდესაც სიუჟეტში გასული არასწორი ინფორმაციის გამო ბოდიში მოიხადეს. მისი თქმით, მაყურებელთა პრეტენზიის უმეტესობა არა ჟურნალისტის, არამედ, ფაქტისკენ არის მიმართული.

თვითრეგულირების ორგანოთა უფუნქციობის ერთ-ერთი მიზეზად მათ იველაშვილი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ შესახებ მოსახლეობის არაინფორმირებულობას მიიჩნევს. ამბობს, რომ ჰქონია შემთხვევა, როდესაც მაყურებლისათვის ქცევის კოდექსის შესახებ ინფორმაცია თავად მიუწოდებია. იველაშვილი მედიაკრიტიკის მნიშვნელობაზეც საუბრობს და ამბობს, რომ ამ მხრივ საქართველო პირველ ნაბიჯებს დგამს.

„მედიასაშუალებები იმდენად არიან მიჩვეულები სასათბურე პოზიციებში ყოფნას, რომ კრიტიკას რომელიმე მხარის პოზიციად უფრო აღიქვამენ. ჩვენ შემთხვევაში კი თუ მედიაკრიტიკა გაძლიერდება, უკეთესი იქნება“, - აცხადებს იველაშვილი და ამბობს, რომ დღეს მედიის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ანალიზი წარმოადგენს.

კითხვაზე, ხდება თუ არა ხელშეკრულების ნაწილი მაუწყებელთა კოდექსის დაცვა ჟურნალისტებისათვის, მათ იველაშვილი გვპასუხობს, რომ მსგავსი პუნქტები შეთანხმებაში არ დევს.

„დია“

ტელეკომპანია „დია“ თვითრეგულირების ორგანო 2010 წლის 2 თებერვალს შექმნა. მისი წევრები ტელევიზიის ჟურნალისტები, სააპელაციო საბჭოსი კი - საზოგადოების წარმომადგენლები არიან. არხს თვითრეგულირების ორგანოს შესახებ ინფორმაცია საიტზე არ უდევს. არხის დირექტორი, მათა ტატულაშვილი ამბობს, რომ სიუჟეტი თვითრეგულირების ორგანოზე არასოდეს გაუკეთებიათ. საჩივარი დარღვევებზე არც კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და არც ჟურნალისტური ეთიკის ქარტილიდან მოსვლიათ.

მათა ტატულაშვილი ინტერვიუსას არასწორი ინფორმაციის შესწორების ალტერნატიულ ხერხზე საუბრობს და ამბობს, რომ მოსახლეობისაგან უკუკავშირი დიდა. მისი თქმით, არის შემთხვევები, როდესაც ფეისბუქზე მოწერილი კომენტარისა თუ სატელეფონო ზარიდან გამომდინარე, სიუჟეტი გაუსწორებიათ. ერთ-ერთი მათგანი მცირე ხნის წინ, გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, აგვისტოს ომისას დაღუპული ჯარისკაცების პატივსაცემად მემორიალის აღმართვას ეხებოდა. მემორიალი სოფლის მაცხოვრებლების ხარჯით აშენდა, თუმცა სიუჟეტში ჩანდა, რომ ხარჯები თვითმმართველობამ გაიღო. შემოსული ზარებიდან გამომდინარე, არხმა სიუჟეტზე ბოდიში მოიხადა, მეორე დღეს კი განახლებული ვარიანტით გაუშვა ეთერში.

რაც შეეხება ჟურნალისტთა მიერ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დაცვას, ტატულაშვილს მიაჩნია, რომ მედიის წარმომადგენლებმა ეთიკის ნორმებს თავად უნდა მიაქციონ ყურადღება.

„თრიალეთი“

კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან მიღებული დოკუმენტების თანახმად, თვითრეგულირების ორგანო ტელეკომპანია „თრიალეთში“ 2010 წლის 25 თებერვალს შეიქმნა. მისი წევრები ტელეკომპანიის თანამშრომლები არიან, სააპელაციო საბჭო კი სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული. არხის დირექტორის, ჯონდი ნანეტაშვილის თქმით, თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შესულა. მისი შექმნის შესახებ ინფორმაცია კი მაყურებელს ვებ-გვერდისა და საინფორმაციო გამოშვების დახმარებით მიაწოდეს.

კითხვაზე, რა სახით კონტაქტობენ მაყურებელთან, ნანეტაშვილი პასუხობს, რომ ეს, ძირითადად, სატელეფონო ზარებია. ყოფილა თუ არა შემთხვევა, როდესაც ეთერში გასული სიუჟეტი გაუსწორებიათ, გვპასუხობს, რომ „თრიალეთი“ სიუჟეტს არ ასწორებს და ყველას თავისი პასუხისმგებლობა აქვს. ქვე აღნიშნავს, რომ არხზე ყველაფერი კანონთან შესაბამისობაში ხორციელდება.

რაც შეეხება ხელშეკრულებებს ჟურნალისტებთან, ნანეტაშვილს მიაჩნია, რომ მისი დაცვა ჟურნალისტს ხელშეკრულების გარეშეც ევალება.

ქვემო ქართლის ტელე-რადიოკომპანია

ქვემო ქართლის ტელე-რადიოკომპანიაში, კომუნიკაციის ეროვნული კომისიიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, თვითრეგულირების ორგანო 2009 წლის რვა აგვისტოს შეიქმნა. მისი წევრები არხის თანამშრომლები და მოწვეული იურისტი არიან. არხზე სააპელაციო საბჭოს შექმნა მოგვიანებით, 2010 წლის 23 ივნისს მოხდა. მის შემადგენლობაში იურისტი, რედაქტორი და საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი არიან. ინფორმაცია თვითრეგულირების საბჭოს შესახებ არც ამ შემთხვევაშია საიტზე განთავსებული. არხის გენერალური დირექტორი, გიორგი მგალობლიშვილი ამბობს, რომ საბჭოების შექმნის შესახებ ცნობა მაყურებელს საინფორმაციო გამოშვების დახმარებით მიაწოდეს.

რაც შეეხება საჩივრებს, მგალობლიშვილი აღნიშნავს, რომ ამ დრომდე თვითრეგულირებაში არც საჩივრის შემოსვლისა და არც მისი განხილვის პრეცედენტი ყოფილა. მაყურებელთან ურთიერთობის ყველაზე ოპტიმალური ფორმა კი, მისი თქმით, სატელეფონო ზარია. არხის გენერალური დირექტორი განმარტავს, რომ გადაღებაზე გასული ჟურნალისტები ტელევიზიის საკონტაქტო ინფორმაციას მოსახლეობაში ყოველთვის ტოვებენ, რის შემდეგადაც ზარები საინფორმაციო სამსახურში შემოდის და რეაგირება ხდება.

„ახლახან იყო შემთხვევა, როდესაც სიუჟეტი გავასწორეთ. „ქორეოგრაფთა კავშირმა“ რუსთავეში მოღვაწე ქორეოგრაფები დააჯილდოვა. ჟურნალისტმა, სამწუხაროდ, მასალა არასრულად მოიტანა, მასაც თავმჯდომარემ მიაწოდა. პრეტენზიის შემდეგ ჩვენ მათ მასალა წარვუდგინეთ, თუმცა რეალურად მეორე დღეს საინფორმაციო გამოშვებაში მოვიხადეთ ბოდიში. ასეთი შემთხვევები გვაქვს, თუმცა პრობლემა არ შეგვექმნია“, - აცხადებს მგალობლიშვილი. კითხვაზე, პრეტენზიის შემთხვევაში ამისამართებენ თუ არა თვითრეგულირების ორგანოში მომჩივანს, არხის დირექტორის თქმით, ასეთი ფაქტი არ ყოფილა.

მგალობლიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დაცვა ჟურნალისტთა ხელშეკრულებებში არ იდება, თუმცა არხის ახალ სტრატეგიაში, კოდექსთან ერთად, სხვა დეტალების შეტანასაც გეგმავენ.

ტელეკომპანია „მარნეული“

თვითრეგულირების ორგანო ტელეკომპანია „მარნეულში“ 2013 წელს შეიქმნა. მისი წევრები ტელეკომპანიის თანამშრომლები არიან. სააპელაციო კომისია კი ადგილობრივი მოსახლეობით არის დაკომპლექტებული. საბჭოებს საჩივრები არ განუხილავთ.

ტელეკომპანიის დირექტორი ზუსტად ვერ იხსენებს, როგორ მიაწოდეს მოსახლეობას თვითრეგულირების ორგანოს შესახებ ინფორმაცია, თუმცა ამბობს, რომ მოსახლეობასთან კონტაქტის ალტერნატიული გზა - სატელეფონო ზარები და პირადი ურთიერთობები არსებობს.

შუბლაძის თქმით, მაყურებელთან უშუალო კონტაქტი აქვს ჟურნალისტსა და ოპერატორს. კითხვაზე, თუ რატომ არ დევს საიტზე ინფორმაცია კომისიის შესახებ, ტელეკომპანიის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ ვებ-გვერდის ნახვაზე მარტივად მოსახლეობა ჟურნალისტებს ნახულობს. მისივე თქმით, მოსახლეობას ტელეკომპანიის თანამშრომლების ნომრები აქვთ და ზარების შემთხვევაში არხის მხრიდან რეაგირება მომენტალურია.

კითხვაზე, ხდება თუ არა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დაცვა ჟურნალისტებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილი, შალვა შუბლაძე გვპასუხობს რომ არა, თუმცა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების თანახმად ჟურნალისტს ტელეკომპანიის შინაგანაწესის დაცვა ევალება, სადაც მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დაცვა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

„გურჯაანი“

ტელეკომპანია „გურჯაანში“ თვითრეგულირების ორგანო 2010 წლის 9 თებერვალს შეიქმნა. მისი წევრები ტელევიზიის თანამშრომლები, სააპელაციოში კი აქტიური სამოქალაქო პირები არიან. ინფორმაცია ორგანოს შესახებ მაუწყებელს საიტზე არ აქვს გატანილი, ჩვენთან საუბარში დირექტორი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე ვებ-გვერდი რეორგანიზაციის პროცესშია. როგორც წინა შემთხვევებში, თვითრეგულირების საბჭოს საჩივრები არც „გურჯაანში“ განუხილავს. ლევან ალექსიშვილი ინტერვიუში ამბობს, რომ თვითრეგულირების საბჭოს არსებობის შესახებ ყველამ იცის. რაც შეეხება ინფორმაციის გავრცელებას, მისივე თქმით, ორგანოს შექმნისთანავე მომზადდა სიუჟეტი, ინფორმაცია საიტზეც განთავსდა.

ალექსიშვილი ამბობს, რომ უკმაყოფილო მაყურებლის ზარი ტელევიზიაში არ დაფიქსირებულა, თუმცა იხსენებს შემთხვევას, როდესაც სიუჟეტზე პრეტენზია გამგებელს ჰქონდა. მომჩივანი თვითრეგულირების ორგანოში გადაამისამართეს, თუმცა საჩივრით მას აღარ მიუმართავს.

ტელეკომპანია „თანამგზავრი“

ტელეკომპანია „თანამგზავრი“ თვითრეგულირების ორგანო 2010 წლის 10 ივლისს შეიქმნა. მისი წევრები არხის ჟურნალისტი და ოპერატორები არიან, სააპელაციო კომისიაში კი იურისტები და საზოგადოების წარმომადგენლები შედიან. არხის დირექტორი, ენრი კობახიძე ამბობს, რომ თვითრეგულირების ორგანოს შესახებ ინფორმაცია მოსახლეობას, საინფორმაციო გამოშვებისა და რამდენიმე გადაცემის დახმარებით, მისი შექმნისთანავე მიაწოდეს.

კობახიძე ამბობს, რომ საბჭოსათვის არავის მიუმართავს, თუმცა იხსენებს შემთხვევას, როდესაც ერთ-ერთი გაშუქებული თემით უკმაყოფილო გამგებელს თვითრეგულირების ორგანოსაკენ მიუთითა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, გამგებელს საჩივარი არ შეუტანია. ენრი კობახიძის თქმით, თვითრეგულირების ორგანოს შექმნას ფორმალური სახე არ ჰქონდა.

„რომ შევქმენით თვითრეგულირება, კანონი გვავალდებულებდა და ვფიქრობდით, ისე გაგვეკეთებინა ყველაფერი, როგორც საჭირო იყო. გვეგონა, იმუშავებდა, მაგრამ მოსახლეობის მხრიდანაც არ იყო ინტერესი“. კობახიძე ასევე ამბობს, რომ არხს ავტომატური თვითრეგულირება აქვს, მომართვის შემთხვევაში შეცდომა სწორდება.

რაც შეეხება უკმაყოფილო მოსახლეობასთან კონტაქტის ალტერნატიულ წყაროს, „თანამგზავრის“ დირექტორი ამბობს, რომ პრეტენზიები უფრო მეტად გამგეობიდან შემოდიოდა, თუმცა ბოლო პერიოდში მსგავსი ფაქტები არ დაფიქსირებულა. ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა კი თეატრს უკავშირდებოდა, სადაც სპექტაკლის შესახებ ინფორმაცია მოსახლეობას არასწორად მიაწოდეს. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ზარის შემდეგ კი სიუჟეტი ეთერში ხელახლა გავიდა და განმარტებაც გაკეთდა.

კობახიძემ ინტერვიუსას აღნიშნა, რომ ძირითადი პრეტენზიები მოსახლეობისაგან ინფორმაციის უზუსტობაზეა. მისივე თქმით, ჟურნალისტთა ხელშეკრულებების ერთ-ერთი ნაწილი, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დაცვაა.

რეკომენდაციები:

- საჭიროა, განიხილოს რეგიონულ მაუწყებლებში თვითრეგულირების სისტემის ალტერნატივის ქმედითობა და მოხდეს მისი ინტეგრაცია თვითრეგულირების ორგანოსთან;
- კვლევის პერიოდში ობიექტთა შორის მხოლოდ ერთი, ბათუმის „25-ე არხი“ იყო, რომელსაც თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საიტზე აქვს განთავსებული.
- მოხდეს თვითრეგულირების საბჭოთა ფორმალურიდან რეალურად მოქმედ ორგანოებად ჩამოყალიბება;
- მოხდეს სოციალური რგოლების ან კლიპების დამზადება, რომლებიც რეგიონული მაუწყებლების ეთერში იტრიალებს და თვითრეგულირების ორგანოს შესახებ მოსახლეობას ინფორმაციას ინტენსიურად მიაწვდის (ამის მზაობა თვისობრივი კვლევის დროსაც გამოჩნდა);
- კანონში ცვლილებების შემთხვევაში, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიეცეს უფლება, მოითხოვოს მაუწყებლებიდან თვითრეგულირების მექანიზმში საჩივრების განმხილველი პირების შეცვლის შესახებ განახლებადი ინფორმაცია;
- არასამთავრობო სექტორმა მიმართოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, შეიმუშავოს მექანიზმი და მოახდინოს თვითრეგულირების მექანიზმთა პოპულარიზაცია;